# თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო

# კომისიის თავმჯდომარის

# ბრძანება №2

ქ. თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ.#7

14.12.2023 წელი

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ 38-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ მე-15 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1.** თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვროს 5 (ხუთი) წევრით, შემდეგი შემადგენლობით:

1. **ხათუნა ნიკოლაძე** - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
2. **ლაშა ლანჩავა** - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი.
3. **ბერიკა გრძელიშვილი** - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
4. **დავით ბენიძე** - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
5. **ირმა ჯიხვაშვილი** - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე რანგის პირველი კატეგორიის სპეციალისტი ( HR).

**მუხლი 2.** დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - **ბერიკა გრძელიშვილი.**

**მუხლი 3.** კომისიამ საქმიანობა განახორციელოს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: /ხათუნა ნიკოლაძე/